ცვლილება ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2008 წლის 4 აპრილს №17 სხდომაზე დადგენილ ,,უნივერსიტეტის სტუდენტთა შეფასებისა და კრედიტების მინიჭების წესში”

ამ წესით დამტკიცებულ მე-8 მუხლში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

”8. ბაკალავრიატის და მაგისტრატურის სტუდენტებს, ვინც სასწავლო წლის განმავლობაში ვერ დააგროვა სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კრედიტები, მიეცეთ შესაძლებლობა სურვილის შესაბამისად ხელახლა გაიარონ კურსი შემოდგომის, გაზაფხულის ან ზაფხულის სემესტრის განმავლობაში."

ამ წესით დამტკიცებულ მე-10 მუხლში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

”10. უნივერსიტეტის სტუდენტი, 30 ან 30-ზე მეტი კრედიტის დავალიანების შემთხვევაში, კერძოდ:

ა) თუ სტუდენტმა ვერ მიიღო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კრედიტები და უწევს კურსის/კურსების ხელახლა გავლა;

ბ) თუ სტუდენტს რაიმე მიზეზის გამო დამატებით სჭირდება ახალი პროგრამით გათვალისწინებული კურსის/კურსების გავლა - ვალდებულია, გადაიხადოს ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოცემული მომენტისათვის არსებული წლიური სწავლების პროპორციული თანხა.”

მაგალითად: თუ სტუდენტი იხდის წლიურ სწავლის საფასურს 1500 ლარს, 40 კრედიტის დავალიანების შემთხვევაში, ვალდებულია გადაიხადოს წლიური სწავლების პროპორციული თანხა: 30კრედიტის შესაბამისი 750 ლარი და 10 კრედიტისთვის 250 ლარი, სულ ჯამში 1000 ლარი.

10/1 . იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტის დავალიანება 30 კრედიტზე ნაკლებია, თითოეული კრედიტის ღირებულება განისაზღვრება 15 (თხუთმეტი) ლარის ოდენობით.